თბილისელები ინარჩუნებენ პოზიციებს

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 26 ოქტომბერი.

“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:1).

მოსკოვი: პილგუი, ნოვიკოვი, ნიკიტინი, მახოვიკოვი (ბოკიი), სუხნოვი, მოლოდცოვი, რეზნიკი (მატიუნინი), მინაევი, ლატიში, მაქსიმენკოვი, ვ. გაზაევი.

თბილისი: გაბელია, კოსტავა, ჩივაზე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სულაქველიძე, ქორიძე, ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია (ხინჩაგაშვილი, კერესელიძე).

მსაჯი: ა. ტემეტევი (უჟგოროდი).

გაფრთხილებული არიან მაქსიმენკოვი და ქორიძე.

დუბლიორები – 0:0.

მოსკოვის “დინამოს” მსგავსი სახიფათო და ძნელი მეტოქე თბილისის დინამოელებს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატების ხანგრძლივ ისტორიაში არა ჰყოლიათ. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ყოველ კონკრეტულ გათამაშებაში ვინაა წინ და ვინ – უკან. რა სატურნირო ვითარებაში, რა პირობებშიც არ უნდა ეთამაშებოდეს ერთმანეთს ეს ორი გუნდი, ბრძოლას მუდამ უკიდურესად დაძაბული, უშეღავათო ხასიათი აქვს.

მოსკოვის “დინამოს” ახლა ისეთი გასაჭირი ადგია, როგორიც არა ჰქონია თავისი ხანგრძლივი არსებობის ისტორიაში: სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი გათამაშების ცხრილის ბოლოს იმყოფება, იქ, საიდანაც სულ ადვილად შეიძლება საგაისოდ I ლიგაში ამოჰყოს თავი.

ეს გარემოება ძალთა საგანგებო მობილიზაციის აუცილებლობის საკითხს სვამს მოსკოველთა წინაშე. ისინი იბრძვიან ისე, როგორც არასდროს.

ამავე დროს ძალზე საპასუხისმგებლო ამოცანები დგას თბილისის დინამოელთა წინაშეც: გუნდი ენერგიულად თამაშობს საპრიზო ადგილის მოსაპოვებლად და საამისო რეალური შანსებიც გააჩნია.

აი, ასეთ რთულ სიტუაციაში იმყოფებოდნენ თანაკლუბელები. მატჩი კი საკმაოდ მოულოდნელად დაიწყო: მასპინძლებს მე–3 წუთზე კუთხურის უფლება მიეცათ, ლატიშმა ბურთი კართან მოაწოდა, იგი არავის შეხებია და უშუალოდ გადაცდა ხაზს – 1:0.

ასეთმა დასაწყისმა მნიშვნელოვნად გააძნელა თბილისელთა მდგომარეობა, მაგრამ მარცხს მათ ენერგიული, ორგანიზებული თამაშით უპასუხეს და 25–ე წუთზე თანაფარდობაც აღადგინეს: ჩელებაძის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ჯერ ერთ ძელს, შემდეგ – მეორეს, მერე მეკარე პილგუის და ბადეში აღმოჩნდა – 1:1.

ტაიმის ბოლომდე არ შეწყვეტილა მწვავე ბრძოლა. ერთგვარი უპირატესობა მოსკოველებს ჰქონდათ, მაგრამ საპასუხო კონტრიერიშები, სადაც უნარიანად მოქმედებდნენ ყიფიანი, ჩივაძე, სულაქველიძე და სხვანი, არაერთხელ აგდებდნენ მათს კარს ხიფათში.

ფრე მოსკოველთათვის დამარცხების ტოლფასი იყო, ვინაიდან ლიმიტი გუნდს უკვე ამოწურული აქვს. ამიტომ მათ მთელი შესაძლებლობით ითამაშეს მეორე ტაიმში, თავდამსხმელთა ახალი ძალებიც გამოიყვანეს მინდორზე, მაგრამ შედეგი ამას არ გამოუღია. თბილისის “დინამო” ბოლომდე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, მეტოქის ხშირი და მოულოდნელი კონტრიერიშების წინაშე მასპინძლები იძულებული იყვნენ მთავარი ძალები უკან დაეწიათ კარის დასაცავად.

ანგარიში არ შეცვლილა – 1:2. თბილისის “დინამო” კვლავ ინარჩუნებს საპრიზო ადგილზე გასვლის კარგ შანსებს. იმედია, საკავშირო ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებშიც და ევროპის თასების მფლობელთა თასის საპასუხო შეხვედრაშიც ჩვენი ფეხბურთელები ასეთივე მონდომებით ითამაშებენ.

ბ. ქორიძე.
“ლელო”, 28 ოქტომბერი, 1980 წ.